გაციფრულება და უმაღლესი განათლება საქართველოში

ალექსანდრე ასათიანი
ასოცირებული პროფესორი, გეტებორგის უნივერსიტეტი გამოყენებითი ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი, შვედეთი, aleksandre.asatiani@ait.gu.se

თეონა გრიგოლაშვილი
ასოცირებული პროფესორი, ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი, ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო, teona.grigolashvili@unik.edu.ge

საკვანძო სიტყვები: გაციფრულება; უმაღლესი განათლება; ეკონომიკური განვითარება
J.E.L. Classification: I2, I21, I23, I28, O1 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2026.31.01

ციტირებისთვის: Asatiani, A., Grigolashvili, T., (2026) Digitalization and the higher education in Georgia. Economic Profile, Vol. 21, 1(31), p. 7–13. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2026.31.01

ანოტაცია. *ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველომ ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების წახალისებაზე, კორუფციის შემცირებაზე და ბიუროკრატიის გამარტივებაზე მიმართულმა რეფორმებმა, ასევე ევროკავშირთან უფრო მჭიდრო დაახლოებამ, გამოიწვია მშპ-სა და ბიზნეს სექტორის სტაბილური ზრდა. ეს განვითარება ქვეყნის გაციფრულებაზეც აისახა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ეტაპზე მყოფი ციფრული ეკონომიკა ჩამორჩება მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, გარკვეული სფეროები, მათ შორის ფინანსური მომსახურება, IT სერვისები და ბიზნეს პროცესების აუთსორსინგი, გამოირჩევა მზარდი განვითარებითა და მაღალი შედეგიანობით.*

საქართველოში ხელმისაწვდომია მობილური ინტერნეტი მაღალი დაფარვით, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში. 2020 წლისთვის შინამეურნეობების 75%-ზე მეტს ჰქონდა ინტერნეტზე წვდომა, ხოლო ქვეყნის 99.72% დაფარული იყო 4G/LTE კავშირით. 2017 წლისთვის კომპანიების 97.5%-ს ჰქონდა ინტერნეტზე წვდომა.

ციფრული ეკონომიკის ზრდის შესანარჩუნებლად საქართველოს სჭირდება მაღალკვალიფიციური, შესაბამისი ციფრული უნარებით აღჭურვილი სამუშაო ძალა, რაც ქვეყნის ერთ-ერთ გამოწვევად რჩება. საქართველოს ადამიანისეული კაპიტალის ინდექსი ჩამორჩება ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და რეგიონულ პარტნიორებს. განათლების განვითარების 2022–2030 წლების სამთავრობო პროგრამა და ევროკავშირის სხვადასხვა ინიციატივები ითვალისწინებს გაციფრულების ინტეგრაციის მხარდაჭერას საქართველოს განათლების სისტემაში. თუმცა, კვლავ არსებობს კვალიფიციური სამუშაო ძალის დეფიციტი.

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში არსებული საგანმანათლებლო შეთავაზებების მიმოხილვა და უმაღლეს განათლებაში გაციფრულების ინტეგრაციასთან დაკავშირებული მიმდინარე გამოწვევები. დასასრულ, განხილულია სამომავლო პერსპექტივები და წარმოდგენილია შესაბამისი პოლიტიკის რეკომენდაციები.